




საერთაშორისო ფონდი კურაციო

ნელი ჯანდაცვის სფეროს სამსახურში

## საქართველოს ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი



გეოთხე ტალღა

2014 წლის დეკემბერი

კვლევა დაფინანსებულია და მომზადებულია  
საერთაშორისო ფონდი „კურაციო“-ს მიერ

[www.curatiofoundation.org](http://www.curatiofoundation.org)



## წინასიტყვაობა

- ❖ წარმოდგენილი კვლევის მიზანია შეისწავლოს საქართველოს ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ სპეციალისტების/ექსპერტების მოსაზრებები და მოლოდინები. ექსპერტთა მოსაზრებები გამდიდრებულია ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით და სხვა წყაროებით.
- ❖ ვიმედოვნებთ, რომ მიღებული შედეგები საზოგადოებას და ხელისუფლებას დაეხმარება შეიტყოს დარგში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ექსპერტთა მოლოდინები და მოსაზრებები სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისას გაითვალისწინოს.
- ❖ კვლევის შედეგები ასახავს მხოლოდ იმ სპეციალისტთა და ექსპერტთა მოსაზრებებს და მოლოდინებს, რომელთაც კვლევაში მიიღეს მონაწილეობა.
- ❖ აღნიშნული მოსაზრებები, სადაც შესაძლებელი იყო შედარდა ფაქტობრივ სტატისტიკურ მონაცემებს რეალური ტენდენციების წარმოსაჩენად.



20 წელი ჯანდაცვის სამსახურში



[blog.partisani.ge](http://blog.partisani.ge)

# კვლევის ძირითადი მიგნებები



1

# საყოველთაო დაზღვევით მოსარგებლეთა რაოდენობა

20 წელი ჯანდაცვის სამსახურში

დღესდღეობით საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის გამო სამედიცინო მომსახურებაზე ხელი მიუწვდება გაცილებით მეტ ადამიანს, ვიდრე მიუწვდებოდა 2012 წლის დეკემბერში

2014 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში პჯდ ცენტრებში 2,882,238 ადამიანია რეგისტრირებული ანუ დამატებით 1,263,598 ადამიანი (ანუ 78%-ით მეტი) ვიდრე საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებამდე 2012 წელს.

ასევე, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი პროგრამული სერვისების უტილიზაციის მაჩვენებელი 2014 წელს 2013 წელთან შედარებით

ექსპერტთა აზრით, რეცეპტების შემოღებამ მნიშვნელოვნად გაზარდა მოსახლეობის ამბულატორიული მიმართვიანობა



[www.unhealthcare.org](http://www.unhealthcare.org)



## რეცეპტები და სოფლის/ადგილობრივი ჯანდაცვა

20 წელი ჯანდაცვის სამსახურში

- ❖ რეცეპტების ინსტიტუტის ამოქმედებას ექსპერტების და სპეციალისტების უმეტესობა დადებითად აფასებს.

მათი აზრით,

- აღნიშნულმა შეამცირა მედიკამენტების არამიზნობრივი მოხმარება
- გაზარდა მოსახლეობის ამბულატორიული მიმართვიანობა

მედიკამენტების არარაციონალური მოხმარების შემცირება, მოსალოდნელია რომ დადებით შედეგს გამოიღებს, რადგან შეამცირებს მოსახლეობის არამიზნობრივ ჯანდაცვით დანახარჯებს, რომელიც წლების მანძილზე მნიშვნელოვანი იყო საქართველოში

- ❖ რეცეპტების შემოღებამ გაზარდა ამბულატორიული მიმართვიანობა, თუმცა მოსახლეობის აზრით არ გაუმჯობესებულა ადგილობრივი სამედიცინო მომსახურება.
- ❖ ამ პირობებში გაზრდილმა ამბულატორიულმა მიმართვიანობამ და შესაბამისად გაზრდილმა მოლოდინის დრომ, შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიოს რეფორმების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებაზე



## გაძვირებული სამედიცინო მომსახურება და სახელმწიფო ბიუჯეტის მსყიდველუნარიანობა

20 წელი ჯანდაცვის სამსახურში

- ◆ სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტებზე ფასების ზრდას აღნიშნავს ბარომეტრის მეოთხე ტალღაში გამოკითხული სპეციალისტების და ექსპერტების უმრავლესობა:
  - ✓ მედიკამენტების გაძვირებას აღნიშნავს 56.3%
  - ✓ სამედიცინო მომსახურების გაძვირებას 43.7%
- ◆ ექსპერტთა მოსაზრებები თანხვედრაშია საქსტატის მონაცემებთან, რომლის მიხედვითაც 2014 წელს ჯანდაცვაზე ფასების 6.7%-იანი ზრდა დაფიქსირდა.

კვლავაც პრობლემად რჩება სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტებზე ფასების ზრდის ტემპი, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს სახელმწიფო ბიუჯეტის მსყიდველუნარიანობას

◆ ბოლო 6 თვის მანძილზე, მოსახლეობის ფინანსურ დაცულობას უფრო მეტი ექსპერტი აფასებს ნეგატიურად, ვიდრე ბარომეტრის წინა ტალღებში. ასევე იმატა მომავლის მიმართ პესიმისტურმა მოლოდინებმა, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს -

✧ სამედიცინო პროდუქციასა და მომსახურებაზე ფასების ზრდას:

- 2014 წლის ნოემბერში გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით ამბულატორიული მომსახურება 3,4%-ით გაძვირდა, ხოლო მედიკამენტები 7,9%-ით.
- ხოლო 2014 წლის დეკემბერში წინა წლის დეკემბერთან შედარებით მედიკამენტები გაძვირდა 13,8%-ით.



[www.rxobserver.com](http://www.rxobserver.com)

# ჯანდაცვის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვა

- ❑ 2014 წელს ჯანმრთელობის დაზღვევისა და საყოველთაო ჯანდაცვის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიშების მიხედვით, აღნიშნულ პროგრამებზე დაიხარჯა წლის დასაწყისში დაგეგმილ 9 თვის ბიუჯეტზე 18%-ით ანუ 58.4 მილიონი ლარით ნაკლები.
- ❑ ამავე დროს 2014 წლის პირველ 9 თვეში დაიხარჯა დამტკიცებული ბიუჯეტის მხოლოდ 58% ანუ 278 მილიონი ლარი, და დარჩენილი ნაწილის (200 მილიონის) ხარჯვა უნდა განხორციელებულიყო ბოლო კვარტალში.

ბიუჯეტის ხარჯვის აღნიშნული მოცულობები წინააღმდეგობაში მოდის იმ რეალობასთან რომ იზრდება პროგრამული სერვისების უტილიზაციის მაჩვენებელი (72%-ით) და მატულობს სამედიცინო მომსახურების ფასები.





- ❖ 2014 წლის მესამე კვარტლის ბოლოსთვის აღნიშნა კერძოდ დაზღვეულთა 115,600 ადამიანით ზრდა, მიუხედავად იმისა, რომ ბარომეტრის ადრეულ ტალღებში ექსპერტები მიშვნელოვან შემცირებას ელოდნენ.
  - აღნიშნული მართლაც საინტერესოა და დამატებით კვლევას საჭიროებს, რადგან კერძოდ დაზღვეულთა რიცხვის გასაზრდელად კონკრეტული ნაბიჯები ამ პერიოდში არ გადადგმულა.

Health Insurance





20 წელი ჯანდაცვის სამსახურში



blog.

# კვლევის შედეგები დეტალურად



20 წელი ჯანდაცვის სამსახურში



მთავრობის პოლიტიკა ჯანდაცვის  
სფეროში, სპეციალისტთა  
შეფასებები, ოფიციალური და  
კვლევითი მონაცემები


[www.orthodox.ge](http://www.orthodox.ge)



# ფარმაცევტული ბაზრის მართვა/რეგულირების კუთხით მთავრობის მიერ ბოლო 6 თვის მანძილზე გადადგმული ნაბიჯების ეფექტურობის შეფასება

20 წელი ჯანდაცვის სამსახურში

- ❖ წინა ტალღებთან შედარებით ფაქტია, რომ ბოლო 6 თვის მანძილზე ფარმაცევტულ სფეროში მთავრობის აქტიურობამ გაზარდა ექსპერტების რაოდენობა, რომლებიც მთავრობის ნაბიჯებს ეფექტურად აფასებენ
- ❖ თუმცა ასევე მნიშვნელოვანია იმ ექსპერტების რაოდენობა, რომლებიც ამ ნაბიჯების მიმართ სკეპტიკურ დამოკიდებულებას ინარჩუნებენ






# ბოლო 6 თვის მანძილზე მედიკამენტებსა და სამედიცინო მომსახურებაზე ფასების შეფასება


20 წელი ჯანდაცვის სამსახურში

## მედიკამენტები



■ მნიშვნელოვნად / ოდნავ გაიფდა      ■ არ შეცვლილა  
■ ოდნავ / მნიშვნელოვნად გაძვირდა      ■ არვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა

## სამედიცინო მომსახურება



წინა ტალღასთან შედარებით, იმატა იმ სპეციალისტთა რიცხვმა, რომლებიც თვლიან რომ ბოლო 6 თვის მანძილზე მედიკამენტები და სამედიცინო მომსახურება გაძვირდა:

- მედიკამენტების გაძვირებას რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (56 %) აღნიშნავს
- სპეციალისტთა 44 % მიიჩნევს, რომ სამედიცინო მომსახურებაზე ფასები გაზრდილია




# როგორ დარდება ფასებთან დაკავშირებით ექსპერტთა მოსაზრებები საქ. სტატის ოფიციალურ მონაცემებს?

20 წელი ჯანდაცვის სამსახურში

- 2014 წლის დეკემბერში 2013 წლის დეკემბერთან შედარებით ზოგადი ინფლაციის დონემ საქართველოს ეკონომიკაში 2,0 % შეადგინა.
- ხოლო ამავე პერიოდში ჯანდაცვაზე ფასები გაიზარდა  $\uparrow$  6,7 %-ით.
- 2014 წელს ჯანდაცვაზე ფასების მსგავსი ტემპით მატებამ 35 %-იანი წვლილი შეიტანა ზოგადი ინფლაციის დონის განსაზღვრაში.

- 2014 წელს ჯანდაცვაზე ფასების ზრდის პერიოდულობა:
  - იანვრიდან აპრილის ჩათვლით ფასებმა მოიმატა  $\uparrow$  3.1 %-ით
  - მაისიდან აგვისტოს ჩათვლით  $\uparrow$  0.4 %-ით
  - სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით  $\uparrow$  3.1 %-ით

### სამედიცინო მომსახურებაზე ფასების წლიური ინფლაცია (2013-2014)



➤ 2014 წელს ჯანდაცვაზე ფასების ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა ქუთაისსა (8.7%) და თელავში (12.4%)

წყარო: საქსტატი: ინფლაცია საქართველოში, 2014



# როგორ დარდება ფასებთან დაკავშირებით ექსპერტთა მოსაზრებები საქ. სტატის ოფიციალურ მონაცემებს?

❖ ფასების მატება დაფიქსირდა შემდეგ პროდუქციასა და მომსახურებაზე:

*2014 წლის ნოემბერი 2013 წლის ნოემბერთან შედარებით*

- ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება გაძვირდა **↑3,4%**-ით
- სამედიცინო პროდუქცია (წამლები), აპარატურა და მოწყობილობა **↑ 7,9%**-ით

*2014 წლის დეკემბერი 2013 წლის დეკემბერთან შედარებით*

- სამედიცინო პროდუქცია (წამლები), აპარატურა და მოწყობილობა **↑ 13,8%**-ით


**კვლავაც პრობლემად რჩება სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტებზე ფასების ზრდის ტემპი, რომელიც ამცირებს სახელმწიფო ბიუჯეტის მსყიდველუნარიანობას**

*წყარო: საქსტატი: ინფლაცია საქართველოში, 2014*



# ბოლო 6 თვის მანძილზე მოსახლეობის ფინანსური დაცულობის შეფასება

## ფინანსური დაცულობა



- ❑ წინა ტალღასთან შედარებით 10 %-ით გაიზარდა სპეციალისტთა რაოდენობა, რომლებიც ბოლო 6 თვის მანძილზე ფინანსური დაცულობის გაუარესებას აღნიშნავენ.
- ❑ სავარაუდოა, რომ სპეციალისტთა შეფასებები სამედიცინო მომსახურებაზე ფასების ზრდით იყოს განპირობებული.







# სპეციალისტთა მოსაზრებები რეცეპტების ამოქმედებასთან დაკავშირებით

20 წელი ჯანდაცვის სამსახურში

- ✧ გამოკითხულთა უმრავლესობის (77%) აზრით, რეცეპტების შემოღებით გაიზარდა მოსახლეობის მიმართვიანობა ამბულატორიულ სამედიცინო დაწესებულებებში;
- ✧ თუმცა, ასევე რესპონდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ სამედიცინო დაწესებულებებში იმატა რიგებმა - მოლოდინის ხანგრძლივობამ






# სპეციალისტთა მოსაზრებები მედიკამენტებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომასთან დაკავშირებით

20 წელი ჯანდაცვის სამსახურში


## მოსახლეობის ხელმისაწვდომობა მედიკამენტებზე



რესპონდენტთა ნახევარზე მეტი აღიშნავს, ბოლო 6 თვეში მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა ოდნავ ან მნიშვნელოვნად გაუარესებას, რაც შეიძლება რეცეპტების სისტემის აღდგენას უკავშირდება.

თუმცა, სპეციალისტთა უმრავლესობის აზრით, რეცეპტების ამოქმედების შემდეგ შემცირებულია მედიკამენტების არამიზნობრივი მოხმარება, რაც მნიშვნელოვანი პოზიტივია


## მედიკამენტების არამიზნობრივი მოხმარება





# სპეციალისტთა მოსაზრებები მთავრობის მიერ სამედიცინო დაწესებულებებისთვის თანხების გადარიცხვის დროულობასთან დაკავშირებით

## მთავრობის მიერ სამედიცინო დაწესებულებებისთვის თანხების ჩარიცხვის დროულობა




- ❑ ჯანდაცვის დაწესებულებათა მენეჯერების ნახევარზე მეტი აღნიშნავს მთავრობის მიერ თანხების გადარიცხვის დროულობას,
- ❑ თუმცა, ყოველი მესამე რესპონდენტის აზრით, ადგილი აქვს თანხების ჩარიცხვის ოდნავ ან მნიშვნელოვან დაგვიანებას.




# სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის შეფასება

20 წელი ჯანდაცვის სამსახურში

## ფინანსური ხელმისაწვდომობა



## ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება




- ექსპერტების უმეტესობა სამედიცინო მომსახურებაზე მოსახლეობის ფინანსურ ხელმისაწვდომობას დადებითად აფასებს
- თუმცა ბარომეტრის წინა ტალღასთან შედარებით ამგვარი ადამიანების ოდენობა მცირდება, რაც თანხვედრაშია NDI-ს კვლევის მიერ დაფიქსირებულ მოსახლეობის განწყობებთან (იხ. ქვედა გრაფიკი)

წყარო: NDI საზოგადოების განწყობა საქართველოში [www.ndi.org](http://www.ndi.org)



# სპეციალისტთა მოსაზრებებისა და მოსახლეობის განწყობის შედარება ადგილობრივ სამედ. მომსახურებასთან მიმართებაში

## ადგილობრივი სამედ. მომსახურების არსებობა



■ გაუმჯობესდა ■ არ შეცვლილა ■ გაუარესდა ■ არ ვიცი

„საზოგადოების განწყობის კვლევის“ მონაცემების მიხედვით:


- ❖ მოსახლეობის შეფასებებში ადგილობრივი სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების კუთხით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ იკვეთება.
  - კვლავ დაბალია მოსახლეობის წილი, რომელიც ამ მხრივ სიტუაციის გაუმჯობესებას აღნიშნავს (16%).

წყარო: NDI საზოგადოების განწყობა საქართველოში [www.ndi.org](http://www.ndi.org)



# ჯანდაცვის სერვისების უტილიზაცია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში

გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების უტილიზაცია წელიწადში ერთ მოსახლეზე



- ❖ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის სრულად ამოქმედების შემდეგ (მეორე ეტაპი) სულ უფრო მატულობს მოსახლეობის მიერ პროგრამული კომპონენტების უტილიზაციის მაჩვენებელი:
  - გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის უტილიზაციის მაჩვენებელი 65%-ით არის მომატებული 2014 წლის ბოლოს 2013 წლის დეკემბრის მონაცემთან შედარებით

წყარო: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

<https://www.facebook.com/mohgovge>



# ჯანდაცვის სერვისების უტილიზაცია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში


20 წელი ჯანდაცვის სამსახურში

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, ასევე მომატებულია ჰოსპიტალური სერვისების უტილიზაცია:

- გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება +124%-ით,
- გეგმიური ქირურგიული მომსახურების კომპონენტი +130%-ით.



## ჰოსპიტალური მომსახურების მოხმარების მაჩვენებელი




წყარო: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო  
<https://www.facebook.com/mohgovge>



# საყოველთაო ჯანდაცვის ბიუჯეტის შესრულების მონაცემები 2014 წ.

20 წელი ჯანდაცვის სამსახურში

## 9 თვის ჯანდაცვის ბიუჯეტის შესრულება



- ❑ 2014 წელს პირველი სამი კვარტლის მანძილზე ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებით ირკვევა, რომ 9%-ით ნაკლები თანხაა ათვისებული (-39 მლნ)
- ❑ ჯანმრთელობის დაზღვევისა და საყოველთაო ჯანდაცვის ბიუჯეტისთვის დამტკიცებულ იქნა წლიური 478 მლნ
  - ✓ 9 თვის თავზე დახარჯულია 18%-ით ნაკლები ვიდრე ეს დაგეგმილი იყო (-58.4 მლნ)

**2014 წელს იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით ჯანმრთელობის დაზღვევისა და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობას მოხმარდა 278.5 მლნ ლარი**

ანუ პირველი სამი კვარტლის განმავლობაში დახარჯულია მთელი წლის დამტკიცებული გეგმის მხოლოდ 58%. შესაბამისად, მეოთხე კვარტალში ასათვისებელია 200 მლნ ლარი

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში პროგრამა: 35 03; 35 03 01; 35 03 02





20 წელი ჯანდაცვის სამსახურში




<http://joeoreilly.ie>

სახელმწიფო პოლიტიკა:  
კერძო სადაზღვევო ბაზარი და მისი  
შესაძლო პერსპექტივები



# სამედიცინო სადაზღვევო კომპანიების რეგულირების კუთხით მთავრობის მიერ ბოლო 6 თვის მანძილზე გადადგმული ნაბიჯების ეფექტურობის შეფასება


- გამოკითხული რესპონდენტებიდან, ყოველი მესამე მიიჩნევს, რომ სადაზღვევო კომპანიების რეგულირების კუთხით ბოლო 6 თვის განმავლობაში არანაირი ნაბიჯი არ გადადგმულა
- თუმცა, თითქმის ყოველი მეოთხე თვლის, რომ დაზღვევის რეგულირება ეფექტური იყო





# როგორ ეხმიანება სპეციალისტთა მოსაზრებები კორპორატიულად დაზღვეულთა რაოდენობის ცვლილებას


20 წელი ჯანდაცვის სამსახურში



- 2013- 2014 წლების პირველ კვარტლებს შორის დაზღვეულთა რაოდენობა 117,326 ადამიანით არის შემცირებული
- თუმცა, 2014 წლის პირველი კვარტლიდან მესამე კვარტლამდე კერძოდ დაზღვეულთა რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდება (115,600 ადამიანით მეტი)

**აღნიშნული მართლაც საინტერესოა და დამატებით კვლევას საჭიროებს, რადგან კერძოდ დაზღვეულთა რიცხვის გასაზრდელად კონკრეტული ნაბიჯები ამ პერიოდში არ გადადგმულა**

წყარო: საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური - სტატისტიკური მონაცემები (სახ.სადაზღვევო პროგრამების გარეშე) <http://insurance.gov.ge/>




[o-dark-thirty.blogspot.com](http://o-dark-thirty.blogspot.com)

## სამომავლო მოლოდინები



# გაუმჯობესდება თუ არა შემდეგ 6 თვეში მოსახლეობის ფინანსური ხელმისაწვდომობა სამედიცინო მომსახურებაზე?




❖ ბარომეტრის მონაცემებით ოპტიმისტური მოლოდინები, რომ სამედიცინო მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობა მომდევნო 6 თვის მანძილზე გაიმჯობესდება კლების ტენდენციით ხასიათდება



# შემდეგ 6 თვეში გაიაფდება თუ არა სამედიცინო მომსახურება?

20 წელი ჯანდაცვის სამსახურში


ოთხივე ტალღის მონაცემებზე დაყრდნობით შეინიშნება იმ სპეციალისტთა რიცხვის ზრდის ტენდენცია, რომლებიც სამედიცინო მომსახურების გაძვირებას ელიან, რამაც შეიძლება გაზარდოს წნეხი სახელმწიფო ბიუჯეტზე





## შემდეგ 6 თვეში გაიაფდება თუ არა მედიკამენტები?


- მედიკამენტების გაიაფებასთან დაკავშირებით, პესიმისტურად განწყობილ სპეციალისტთა რიცხვიც ზრდადი ტენდენციებით ხასიათდება
- მეოთხე ტალღაში, წინა ტალღასთან შედარებით, მათი რაოდენობა გაიზარდა 10%-ით.





# შემდეგ 6 თვეში სამედიცინო დაწესებულებებში მოსახლეობის ამბულატორიული მიმართვიანობის ზრდა

მეოთხე ტალღის მონაცემებით, სპეციალისტთა 2/3 მიიჩნევს, რომ რეცეპტების შემოღების შედეგად გაიზრდება მოსახლეობის ამბულატორიული მიმართვიანობა სამედიცინო დაწესებულებებში.




შესაბამისად, შეიძლება აქტუალური გახდეს ამბულატორიული სამედიცინო დაწესებულებების გამტარუნარიანობის საკითხი, განსაკუთრებით რეგიონებში





# შემდეგ 6 თვეში გაიზრდება თუ არა ჯანდაცვის დაწესებულებაში პაციენტის ჯიბიდან გადასახდელი ფორმალური და/ან არაფორმალური გადასახდელები?



- ბარომეტრის მეოთხე ტალღის მონაცემებით, მომდევნო 6 თვეში მოსალოდნელია პაციენტის ჯიბიდან გადასახდელების მატება
- ოთხივე ტალღის მონაცემებზე დაყრდნობით, სულ უფრო მცირდება იმ სპეციალისტთა რიცხვი, რომლებიც ჯიბიდან გადასახდების შემცირებას ელიან.




# შემდეგ 6 თვეში გაუმჯობესდება თუ არა მოსახლეობის ფინანსური დაცულობა?

20 წელი ჯანდაცვის სამსახურში

ოთხივე ტალღის მონაცემებზე დაყრდნობით, ექსპერტებსა და სპეციალისტებში კვლავ შენარჩუნებულია ზრდადი პესიმისტური მოლოდინები მოსახლეობის ფინანსური დაცულობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

თარგმანი: ჯანდაცვის  
პოლიტიკის ექსპერტიზის  
ცენტრი





# მოკლე ცნობები კვლევაში მონაწილეთა შესახებ

20 წელი ჯანდაცვის სამსახურში

- კვლევის მეოთხე ტალღაში მონაწილეობა მიიღო 88 სპეციალისტმა.
  - ამ ტალღაში გაზრდილია სპეციალისტთა რაოდენობა რეგიონალური სამედიცინო დაწესებულებებიდან.
  
- მონაწილეთა ფართო სპექტრი:
  - სამთავრობო სტრუქტურებიდან;
  - სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან;
  - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან;
  - პროფესიული ასოციაციებიდან და სადაზღვევო ორგანიზაციებიდან;
  - კვლევითი საექსპერტო ჯგუფებიდან.
  
- საკმარისი ექსპერტული და ასაკობრივი ცენზით და სასურველი გენდერული ბალანსით:
  - მონაწილეთა 86 %-ს ჯანდაცვის სფეროში მუშაობის 10 წელზე მეტი გამოცდილება აქვს;
  - მონაწილეთა 77 %-ს ასაკი 40 წელზე მეტია;
  - მონაწილეთა 52 % ქალბატონია.



20 წელი ჯანდაცვის სფეროს სამსახურში

# დასასრული

საავტორო უფლებები დაცულია. შედეგების ციტირება ნებადართულია წინასწარი თანხმობის გარეშე მაგრამ აუცილებლად წყაროს მითითებით

[www.curatiofoundation.org](http://www.curatiofoundation.org)